დანართი

,ასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „გორის დილას" წესდება

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „გორის დილა" (შემდგომში არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ორგანიზაციულ - სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი არის იმ შემდეგი არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების სამართალმემკვიდრე, რომელთა ბაზაზეც ის დაფუძნდა:

ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის გურამ გაბუნიას სახელობის საფეხბურთო კომპლექსური სპორტული სკოლა;

ბ) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონი;

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი თავისი მიზნებიდან გამომდინარე მოქმედებს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს აქვს ბეჭედი, შტამპი, ანგარიშწორებისა და სხვა სახის ანგარიშები სათანადო დაწესებულებებში.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილია განუსაზღვრელი ვადით.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სრული სახელწოდებაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი გორის მუნიციპალიტეტის თენგიზ ბურჯანაძის სახელობის საფეხბურთო კლუბი „გორის დილა".

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის იურიდიული მისამართია საქართველო გორი, გურამიშვილის ქ. №5.

მუხლი 2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სტრუქტურა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შედგება შემდეგი განყოფილებებისაგან:

ა) ძირითადი გუნდი „გორის დილა", რომელსაც ჰყავს გუნდის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ა(ა)იპ-ის დირექტორი გამგებელთან შეთანხმებით;

ბ) გურამ გაბუნიას სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო კომპლექსური სპორტული სკოლის განყოფილება;

გ) თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის განყოფილება;

2. განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს თანამდებობიდან ათავისუფლებს ა(ა)იპ-ის დირექტორი გამგებელთან შეთანხმებით;

მუხლი 3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებია:

ა) ფეხბურთის პოპულარიზაცია;

ბ) საკლუბო ფეხბურთის განვითარება, ევრო ტურნირებში მონაწილეობის მიღება;

გ) ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებებისთვის ფეხბურთელების მიწოდება;

დ) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;

ე) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება აღსაზრდელებში;

ვ) ფიზიკურ პირთა სპორტულ გამაჯანსაღებელი მომსახურება და მათი ფიზიკური მომზადება;

ზ) ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

თ) სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება;

ი) ცენტრში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

კ) ინტელექტუალური და სპორტული დონის ამაღლება აღსაზრდელებში;

ლ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

მ) სათამაშო სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.

2. თავისი მიზნების განსახორციელებლად არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი კანონით დადგენილი წესით:

ა) ამყარებს პარტნიორულ ურთიერთობებს ადგილობრივ და უცხოურ ორგანიზაციებთან.

ბ) ფლობს, იძენს და განკარგავს ქონებას.

გ) შეიძლება იყოს მოსარჩელე და მოპასუხე სასამართლოში, საარბიტრაჟო სასამართლოში.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეუძლია განახორციელოს სამეწარმეო საქმიანობა, რაც არ იკრძალება საქართველოს კანონმდებლობით, ატარებს დამხმარე ხასიათს, საქმიანობიდან მოგება უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების განხორციელებას.

მუხლი 4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობა

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, ,ომელიც იზიარებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებს და იცავს ამ წესდების მოთხოვნებს.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობის მსურველმა დადგენილი ფორმით წერილობითი განცხადებით უნდა მიმართოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორს, რომელიც წევრად მიღების საკითხს წყვეტს განცხადების შესვლის დღიდან არაუგვიანეს ერთი თვისა გორის მუნიციპალიტეტის გამგებლის (შემდგომში გამგებელი) თანხმობის საფუძველზე.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობას დაადასტურებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მოწმობა.

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრს უფლებამოსილება უწყდება:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ) სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი ქმედუუნაროდ აღიარებისას;

გ) გარდაცვალებისას.

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დირექტორი ინფორმაციას აწვდის გამგებელს.

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი გამგებლის თანხმობით და დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გარიცხული იქნეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან, თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნებს;

ბ) იგი უხეშად არღვევს წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას;

გ) ზედიზედ სამი თვის განმავლობაში არ მონაწილეობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაში.

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან გარიცხულ პირს უფლება აქვს მისი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან გარიცხვის ან წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებების შელახვის ფაქტის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში.

მუხლი 5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრის უფლება მოვალეობანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრს უფლება აქვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მიზნების შესაბამისად ისარგებლოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საკუთრებაში და სარგებლობაში არსებული ქონებით.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წესდება და შინაგანაწესი;

ბ) გაუფრთხილდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ღირსებას, ავტორიტეტსა და ქონებას;

გ) შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობაში;

დ) გადაიხადოს საწევრო შესატანი დადგენილი წესითა და ოდენობით;

მუხლი 6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მმართველი ორგანოები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს ხელმძღვანელობს დირექტორი (შემდგომში დირექტორი), რომელსაც ნიშნავს გორის მუნიციპალიტეტის გამგებელი.

2. დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობას, საწესდებო მიზნების მისაღწევად;

ბ) ხელს აწერს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ოფიციალურ, მათ შორის ფინანსურ დოკუმენტებს;

გ) წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს სხვა პირებთან ურთიერთობაში;

დ) ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე გამგებლის წინაშე.

ე) გამგებელთან შეთანხმებით ამტკიცებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შინაგანაწესს და სხვა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მართვისათვის საჭირო დებულებებს, საშტატო ნუსხას, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრის მოწმობის ფორმას და საწევრო შესატანის ოდენობას, სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის მომსახურე პერსონალს.

ვ) ასრულებს ამ წესდებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს და კანონით აუკრძალავ სხვა ფუნქციებს;

3. დირექტორი თავისი უფლებამოსილების შესასრულებლად გამოსცემს ბრძანებებს.

4. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში, გამგებელთან შეთანხმებით, დირექტორის დავალებით, მის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი ან გუნდის უფროსი.

5. დირექტორის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობის შეუსრულებლობისათვის, უფლებამოსილების გადამეტების ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია გამგებელს. ასეთ შემთხვევაში ერთი თვის ვადაში ინიშნება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ახალი დირექტორი.

მუხლი7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის განყოფილებების ფუნქციები

1. ძირითადი გუნდი „გორის დილას“ მიზნებია:

ა) ფეხბურთის პოპულარიზაცია;

ბ) საკლუბო ფეხბურთის განვითარება, ევრო ტურნირებში მონაწილეობის მიღება;

გ) ეროვნული და სხვა ასაკობრივი ნაკრებებისთვის ფეხბურთელების მიწოდება;

2. გურამ გაბუნიას სახელობის ბავშვთა და მოზარდთა საფეხბურთო კომპლექსური სპორტული სკოლის განყოფილების მიზნებია:

ა) ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სისტემატურ სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში;

ბ) სპორტულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებების გატარება აღსაზრდელებში;

გ) ფიზიკურ პირთა სპორტულ გამაჯანსაღებელი მომსახურება და მათი ფიზიკური მომზადება;

დ) ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და მისი პროპაგანდა, მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა;

ე) სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წარმოება;

ვ) ცენტრში არსებული სპორტის სახეობების მიხედვით ქალაქის, ეროვნული ნაკრები გუნდების წევრების კანდიდატებისა და სელექციის მეშვეობით შერჩეული პერსპექტიული სპორტსმენების მზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის რეზერვის მომზადება;

2. თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონის განყოფილების მიზნებია:

ზ) ინტელექტუალური და სპორტული დონის ამაღლება აღსაზრდელებში;

თ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;

ი) სათამაშო სპორტული ღონისძიებების მომზადება და ჩატარება.

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის განყოფილებას ხელმძღვანელობს განყოფილების უფროსი (შემდგომში განყოფილების უფროსი), რომელსაც გამგებელთან შეთანხმებით ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი.

4. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში, დირექტორის დავალებით გამგებელთან შეთანხმებით, განყოფილების უფროსის მოვალეობებს ასრულებს განყოფილების ერთ-ერთი თანამშრომელი.

5. განყოფილების უფროსი თავის საქმიანობას წარმართავს ამ წესდებით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შინაგანაწესითა და დირექტორის ბრძანებებით.

6. განყოფილების უფროსი ანგარიშვალდებულია დირექტორის წინაშე.

მუხლი 8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირს შეიძლება საკუთრებაში ჰქონდეს შენობები, ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები, ფულადი აქციები და მოძრავი ქონება რაც ესაჭიროება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირს თავისი საქმიანობის განსახორციელებლად;

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონება იქმნება საწევრო შენატანების, კვრთა და სხვა პირთა შემოწირულობებისაგან, აგრეთვე კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლებიდან.

მუხლი 9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია და ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;